ᲨᲠᲘᲤᲘ

ᲙᲝᲚᲔᲯᲘ

ᲒᲖᲐᲛᲙᲕᲚᲔᲕᲘ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

2026

„ გზა ახალი შესაძლებლობისკენ“

საკონტაქტო ინფორმაცია

ბათუმის ლოკაცია
ლერმონტოვის 92ა, ბათუმი

+995 (422) 24-77-50

info@blacksea.edu.ge

ქედის ლოკაცია
წერეთლის 4, ქედა

+995 577 614 446

შუახევის ლოკაცია
ჭავჭავაძის 8, შუახევი

+995 591 956 549

www.blacksea.edu.ge

სარჩევი

საკონტაქტო ინფორმაცია 2
კოლეჯის ისტორია 4
მისია, ხედვა და ღირებულებები 5
რატომ „ბლექსი“ 6
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები 7
სასწავლო პროცესის ორგანიზება 9
პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები 10
კარიერული ორიენტაცია და მხარდაჭერის მექანიზმები 12
სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია და მხარდაჭერა 15
სტუდენტური ინიციატივები და ექსტრაკურიკულური აქტივობები 17
ინკლუზიური პროფესიული განათლება 18
ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება 21
პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა 26
პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება 28
პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა 29
პროფესიული სტუდენტის მობილობა 30
პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა 32
კვალიფიკაციის მინიჭება 33
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა 34
კურსდამთავრებულის სტატუსი და საგანმანათლებლო დოკუმენტები 46
უსაფრთხოების წესები 47
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 48
გარდამავალი დებულებები 49
ბიბლიოთეკა და საგანმანათლებლო რესურსები 50
პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს გამარჯვებულები 51
WorldSkills Georgia 2023-2025 წლის გამარჯვებულები 52
კოლეჯი „ბლექსის“ ახალი სასწავლო კორპუსი 53
ტერმინთა განმარტება 54
სასარგებლო ბმულები 58

კოლეჯის ისტორია

სსიპ კოლეჯი **,,ბლექსი“** წარმოადგენს ქ. ბათუმში წლების მანძილზე არსებული ყველა პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლის სამართალმემკვიდრეს. კოლეჯი ახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ძირითადი მიმართულებებია: **ტურიზმი** და **სამშენებლო** მიმართულებები.

გარდა ამისა, კოლეჯი ახორციელებს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს, ასევე სხვადასხვა ტიპის ტრენინგ - კურსებს.

კოლეჯს გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საქმიანობა ხორციელდება კვალიფიციური, პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების, კომპანიების ინსტრუქტორების, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კოორდინირებული თანამშრომლობით.

კოლეჯი თანამშრომლობს რეგიონში არსებულ დიდ, საშუალო და მცირე ორგანიზაციებთან. სოციალური პარტნიორობის მაღალი ხარისხი კოლეჯის ძლიერი მხარეა. კოლეჯი ,,ბლექსი“ ერთ-ერთი პირველთაგანია იმ კოლეჯებს შორის, რომელმაც დაიწყო დუალური პროგრამების დანერგვა ტურიზმისა და სამშენებლო მიმართულებით.

კოლეჯს მაღალმთიან აჭარაში, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით, აქვს ორი ფილიალი ქედასა და შუახევში.

ჩვენი მისია, ხედვა და ღირებულებები

კოლეჯის მისიაა

იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილე, სადაც უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და მზარდია სწავლის მსურველთა და სოციალურ პარტნიორთა რაოდენობა. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლისთვისაც პრიორიტეტულია ტურიზმისა და სამშენებლო მიმართულების პროგრამების განხორციელება და ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება.

კოლეჯის ხედვაა

გახდეს რეგიონში პროფესიული სწავლების ლიდერი რომელიც, განვითარებაზე ორიენტირებული მოქნილი შიდა სისტემის ჩამოყალიბებით, პროფესიულ სტუდენტსა და მსმენელს სთავაზობს ხარისხიან განათლებას, ხელს უწყობს მის კარიერულ წინსვლას და უზრუნველყოფს შრომის ბაზარს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრებით. 2019-2026 წლებში კოლეჯი მიზნად ისახავს პრიორიტეტული მიმართულების პროგრამების გამრავალფეროვნებას და მაღალმთიან აჭარაში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას.

კოლეჯის ღირებულებები:

- ინკლუზიური მიდგომა, გენდერული თანასწორობა და არადისკრიმინაცია;
- თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა;
- გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მართვა.

რატომ “ბლექსი”

1. 100% დაფინანსება სახელმწიფოს მიერ
2. თეორიის პარალელურად პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობა
3. პროფესიის დაუფლება შეგიძლიათ ნებისმიერ ასაკში
4. კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა
5. პროფესიული ზრდის შესაძლებლობა მთელი სიცოცხლის მანძილზე
6. დუალური მიდგომით სწავლება
7. ინტეგრირებული პროგრამები
8. მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამები
9. ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სერვისი
10. მაღალმთიან აჭარაში (ქედა, შუახევი) პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა

„ეხა ახალი შესაძლებლობისკენ“

ბლექსი
კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

ტურიზმი

კულინარიის ხელოვნება; კონდიტერია; სასტუმროს მომსახურება; სარესტორნო მომსახურება

ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა



შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები; ელექტროობა; შედუღება

ტექსტილი



მოდის ტექნოლოგია და დიზაინი

IT მიმართულება



ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა; კომპიუტერული ქსელი და სისტემები

ბიექსი

კოლეჯი

კოლეჯი ახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს იმიტირებული, კოოპერაციული, დუალური ფორმით მათ შორის ინტეგრირებული მიდგომით



ზღვაქსი

კოლეჯი

სასწავლო პროცესის ორგანიზება

კოლეჯში დაწესებულია ხუთ დღიანი სასწავლო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით;

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში:

I - ცვლა 09:00 - 14:00

II - ცვლა 14:10 - 19:10

სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით (გაკვეთილების ცხრილი);

ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ხანგძლივობა შეადგენს ერთ ასტრონომიულ საათს (ერთი აკადემიური საათი - 45 წუთი, შესვენება 5 წუთი, დიდი შევენება 10 წთ);

პროფესიულ სტუდენტთა დასწრების აღრიცხვას ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მატერიალური ჟურნალიის საშუალებით;

დუალური პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტის საწარმოში გამოცხადება დასტურდება პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალით.

პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- არ დაიგვიანოს და არ გააცდინოს სასწავლო პროცესი;
- ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში მოახდინოს ადმინისტრაციის/მასწავლებლის ინფორმირება მეცადინეობების გაცდენის თაობაზე;
- არ დაანაგვიანოს სასწავლებელის შენობა და ტერიტორია, დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესები;
- გაუფთხილდეს და დაიცვას კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები; მატერიალური ქონება გამოიყენოს კეთილსინდისიერად, აანაზღაუროს მის მიერ კოლეჯისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანი;
- გაუფრთხილდეს კოლეჯის სასწავლო რესურსს;
- დროულად დააბრუნოს კოლეჯის ბიბლიოთეკიდან გატანილი სასწავლო რესურსი;
- კოლეჯის ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნის დაკარგვის/ დაზიანების შემთხვევაში კი ვალდებულია ბიბლიოთეკას გადასცეს იგივე წიგნი ან წიგნი რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება იმავე პროგრამის ან იმავე მიმართულების სხვა პროგრამის ფარგლებში, კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
- არ ისარგებლოს საკომუნიკაციო საშუალებებით, რაც გამოიწვევს სასწავლო პროცესის შეფერხებას;
- პატივი სცეს სხვა პირთა ღირსებას, არ დაუშვას მათზე რაიმე ფორმით ზეწოლა ან მათ მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელი;
- კოლეჯის ტერიტორიაზე/სასწავლო სივრცეში დაიცვას პირადი ჰიგიენისა და სანიტარული ნორმები;
- დაემორჩილოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნებს და კოლეჯში დასაქმებული უფლებამოსილი პირის, შესაბამის მითითებებს, რომელიც არ არღვევს მათ უფლებებს.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

- მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;
- ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის მართებულად წარმართვისათვის აუცილებელი სასწავლო მასალით;
- გამოიყენოს კოლეჯის ბიბლიოთეკის რესურსები, სასწავლო მიზნებისათვის;
- ისარგებლოს პროფესიული სტუდენტისთვის განკუთვნილი საინფორმაციო საშუალებებით;
- მიიღოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუქციები კოლეჯის და უშუალოდ სასწავლო პროცესის ხელმძღვანელებისაგან;
- გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს კოლეჯის დირექტორთან კოლეჯში დასაქმებულის ან/და სხვა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის არამართლზომიერი ქმედება;
- დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;
- გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
- დადგენილი წესით მიიღოს შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საკუთარი ინტერესების შესაბამისად, თავისუფლად დააფუძნოს სტუდენტური და სხვა ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით, ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების უფლებით;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლოში გაასაჩივროს კოლეჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილება;
- ისარგებლოს პროფესიული სტუდენტისთვის განკუთვნილი სხვა მომსახურებით, რისთვისაც მიმართოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მხარდაჭერის სპეციალისტს;
- პროფესიული სტუდენტი, რომელიც ვერ/არ გამოცხადდება სწავლის შედეგების დადასტურებისათვის განკუთვნილ შეფასების საათებზე ან ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ შეფასებას უფლებამოსილია, კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში, მოითხოვოს გადაბარება, ერთჯერ;

კოლეჯს ჰყავს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც:

პროფესიულ სტუდენტებს/ მსმენელებს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას და ხელს უწყობს მათ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას

აორგანიზებს სამუშაო შეხვედრებსს დამსაქმებელთან საკუთარი თავის ეფექტიანად წარდგენის, გასაუბრებისთვის მომზადებისა და პორტფოლიოს შემუშავების კულტურის დანერგვის მიზნით

ახორციელებს პროფესიული სტუდენტთათვის/მსმენელებისთვის სხვადასხვა ტიპის შეხვედრების, ღონისძიებების, ტრენინგების ორგანიზებას, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას და მოტივაციის გაზრდას პროფესიული განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ

ახორციელებს ტრენინგ - პროგრამას ,,CV და სამოტივაციო წერილის მომზადება“ შემუშავება და დანერგვა

ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობების შესახებ

- დაწესებულება სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს რეგულარულად აწვდის განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობების/ვაკანსიების და ზოგადად შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ასევე ახდენს მათ კონსულტირებას, რაც ხორციელდება, როგორც დაწესებულების მხრიდან პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებათა შესწავლის საფუძველზე, აგრეთვე, პროფესიული სტუდენტის მიერ მომართვის შემთხვევაშიც.

- დაწესებულება იყენებს სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებს ვაკანსიებისა და კარიერული შესაძლებლობების გასაზიარებლად.

- დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ფორუმებში მონაწილეობის მხარდაჭერას დამსაქმებლებთან პირდაპირი კონტაქტის გასამარტივებლად.

- დაწესებულება მართავს მოლაპარაკებებს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით და რეგულარულად აწოდებს ინფორმაციას დაწესებულების პარტნიორი კომპანიებისა და აღნიშნულ კომპანიათა მიერ შემოთავაზებული დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.



კურსდამთავრებულთა ქსელის მხარდაჭერა

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირი:

აწარმოებს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ბაზებს

ახდენს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას შესაბამისი ვაკანსიების შესახებ ჯგუფური შეხვედრების ფარგლებში. კურსდამთავრებულთა ინფორმირება კი ხორციელდება ინდივიდუალურად სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით



ატარებს კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევას პროფესიულ სტუდენტთა კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუადრეს 12 და არაუგვიანეს 36 თვისა, ასევე, ატარებს დამსაქმებელთა გამოკითხვას, რომლის მიზანია, განსაზღვროს თუ რამდენად შეესაბამება პროფესიული სტუდენტის მიერ გამომუშავებული პროფესიული უნარები დასაქმების სფეროს



სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები

კოლეჯი იაზრებს სასწავლო პროცესში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, სოციალური ან ქცევითი თავისებურებების მქონე პირების არსებობის შესაძლებლობას და მოქმედებს ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებით

> პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო, გაცნობითი შეხვედრები სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის პერიოდში

სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები

- პროფესიულ სტუდენტებთან გაერთიანებული შეხვედრების ციკლი სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში
- კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების დაგეგმვა და განხორციელების მხარდაჭერა
- ადმინისტრაციული მხარდაჭერა, რაც გამორიცხავს ბიუროკრატიულ პროცედურებს

კოლეჯი სტუდენტური ინიციატივების და ექსტრაკურიკულური აქტივობების მხარდაჭერას ძირითადად ახორციელებს შემდეგი მიზნით:

ა) პროფესიული ორიენტაცია და კარიერული განვითარება;
ბ) სტუდენტური ინტერესების რეალიზება და განვითარება;
გ) პიროვნული ღირებულებების და სოციალური პასუხისმგებლობების ამაღლება;
დ) პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა პროფესიული განვითარება.
ე) პროფესიული განათლების პოპულარიზაცია;

- დამატებითი/არაფორმალური აქტივობების („ექსტრაკურიკულური აქტივობები“) და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების წარდგენა ინიციატორის მიერ ხორციელდება კოლეჯის დირექტორისთვის წერილობითი მიმართვით;

- სტუდენტური ინიციატივების და ექსტრაკურიკულური აქტივობების ინიციატორი შესაძლებელია იყოს პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის წარმომადგენელი;

- ექსტრაკურიკულური აქტივობების ინიციატორი ასევე შესაძლოა იყოს:
ა) კოლეჯის სხვა პერსონალი, მათ შორის პროგრამის განმახორციელებელი პირები;
ბ) პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლები.

სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

კოლეჯში "ბლექსი" 2013 წლიდან მიმდინარეობს ინკლუზიური პროფესიული განათლება. სამიზნე ჯგუფი მოიცავს სსსმ/შშმ პირებს. სერვისის მიზანია სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზებას და სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას.

თანასწორი უფლებები = თანასწორი შესაძლებლობები!

არავინ უნდა დარჩეს მხარდაჭერის მიღმა!

ინკლუზიური პროფესიული განათლება

პროფესიულ სტუდენტთა მიღებასთან დაკავშირებით ანკეტა - კითხვარის შევსებისას, გათვალისწინებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის შესაბამისად 15%-ის ფარგლებში კვოტა სსსმ პირთათვის

კოლეჯი, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პროფესიული სტუდენტისათვის/ მსმენელისთვის შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ტერიტორიაზე შშმ პირთა თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას

შშმ პირებს აქვთ თავისუფალი წვდომა აუდიტორიებთან, პროფესიული სტუდენტისა თუ მსმენელისთვის განსაზღვრულ კოლეჯის სხვა სივრცეებთან, რაც საჭიროა სრულფასოვანი საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და ექსტრაკურიკულური სერვისების მისაღებად

ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესში ჩართული მხარდამჭერი სპეციალისტები

ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება

1. ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს კოლეჯი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 7 მუხლით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე;

2. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:
ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

3.ფორმალური განათლების აღიარების მსურველი უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

4.ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს მაქსიმუმ 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღებიდან;

5.ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) კოლეჯისთვის განცხადების წარდგენა;
ბ) კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება;
გ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;
დ) კოლეჯის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

6.კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.

7. პროფესიული სტუდენტის მიერ, ფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებით, კოლეჯისადმი წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
ა) დაწესებულების დასახელებას;
ბ) პროფესიული სტუდენტის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;
გ) პროფესიული სტუდენტის ელექტრონული ფოსტის მისამართს;
დ) პროფესიული სტუდენტის ტელეფონის ნომერს;
ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;
ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს პროფესიული სტუდენტი;
ზ) პროფესიული სტუდენტის ხელმოწერას;
თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას

8.ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას უნდა ერთოდეს:
ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;
დ) განცხადებას შესაძლებელია დაერთოს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

9. კოლეჯი არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს ამ მუხლის ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა კოლეჯის მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.

10. კოლეჯი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი კოლეჯის არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც პროფესიულმა სტუდენტმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

11. თუ კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში პროფესიული სტუდენტი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, კოლეჯი უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ;

12. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) იქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.

13. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისგან. კოლეჯი ვალდებულია კომისიის შემადგენლობაში უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი პირის მონაწილეობა. კოლეჯის უფლება აქვს პროფესიული სტუდენტი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

14. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

15. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

16. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

17. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს პროფესიულ სტუდენტთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92- ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.

18. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

19. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. კომისია არ არის უფლებამოსილი პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.

20. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/ შედეგების აღიარების შესახებ;
ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/ შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

21. პროფესიულ სტუდენტს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.

22. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც პროფესიულ სტუდენტს ეთქვა უარი, შესაბამისი დასაბუთებით.

23. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
ა) დაწესებულების დასახელება;
ბ) განმცხადებლის ვინაობა;
გ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;
დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.

24. კოლეჯი ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს ინდივიდუალურადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

25. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში კრედიტების გადატანა (ტრანსფერი) ხორციელდება იმ პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.

26. პროფესიული სტუდენტისთვის კრედიტების აღიარების შემთხვევაში, რეესტრის წარმოების სპეციალისტი ვალდებულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახოს შესაბამისი ინფორმაცია (პროფესიულ სტუდენტს ბაზაში არ უნდა მიებას შესაბამისი მოდული/მოდულის სწავლის შედეგები).

27. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესისა და სხვა ინფორმაციის გასავრცელებლად კოლეჯი იყენებს დაწესებულებაში განთავსებულ საინფორმაციო დაფებს, კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელსა და სხვა მეთოდებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

28. დაინტერესებულ პირ(ებ)ს დაწვრილებით ინფორმაციას აწვდიან შესაბამისი კომპეტენციის ან/და უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ი.

29. ელექტრონული სისტემის შექმნამდე პროცესი წარიმართება მატერიალური სახით.

30. კოლეჯი შესაბამისი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნამდე უზრუნველყოფს ფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვას და სისტემის შექმნის შემდეგ 2 თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მათ ასახვას.

1.პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა დასაშვებია წინამდებარე წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) სასწავლო ხელშეკრულებით და კოლეჯის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ბ) კოლეჯისთვის ისეთი ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა ან ისეთი ინფორმაციის წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებდა პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;

გ) სწავლის დაწყებიდან ორი სასწავლო კვირის განმავლობაში, სასწავლო პროცესზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;

დ) მოდულით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების 50%-ზე მეტის, არასაპატიო მიზეზით გაცდენა.

ე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურება (აღნიშნული არ ეხება შშმ/სსსმ სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტს);

ზ) შუალედურ შეფასებაში /განმეორებით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არ მიღება, დადგენილი წესის შესაბამისად, თუ პროფესიული სტუდენტი არ ითხოვს სტატუსის შეჩერებას (აღნიშნული არ ეხება შშმ/სსსმ სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტს, რომლის სასწავლო პროცესი დაგეგმილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე);

თ) ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - ინტეგრირებული ზოგადი მოდულის თემისთვის განსაზღვრული საკონტაქტო საათების დასრულების შემდგომ, დადგენილი წესის შესაბამისად ამ თემით განსაზღვრული კომპლექსური დავალებ(ებ)ის შეუსრულებლობა;

ი) სწავლის საფასურის გადაუხდელობა, თუ პროფესიული სტუდენტი არ ითხოვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებას;

კ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით;

ლ) გარდაცვალება;

მ) პირადი/კანონიერი წარმომადგენლის (საჭიროების შემთხვევაში) განცხადება;

ნ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამოყენება;

ო) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „კ“, „ლ“, „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევები, ასევე, არის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის გარდა პირს შეუწყდება მსმენელის სტატუსი:

ა) სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო

ბ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გამოყენებისას;

გ) პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის არსებობისას დირექტორს სამსახურებრივი ბარათით მიმართავს დირექტორის მოადგილე ან სასწავლო პროცესის მენეჯერი (ქედისა და შუახევის მისამართებზე - ასევე, სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი) და წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის მტკიცებულებას.

6. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის არსებობისას დირექტორს სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი (ქედისა და შუახევის მისამართებზე - ასევე, სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი) და წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის მტკიცებულებას.

7. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტს.

8. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე რეესტრის წარმოების სპეციალისტს ინფორმაცია ბრძანების გამოცემის დღეს შეაქვს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

9. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.

10. პირი, რომელსაც შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილია კოლეჯიდან გამოითხოვოს მის პირად საქმეში დაცული დოკუმენტების ორიგინალები ან ასლები. კოლეჯი უზრუნველყოფს მოთხოვნილი დოკუმენტების გონივრულ ვადაში გაცემას.

11. პირი, რომელსაც შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილია კოლეჯიდან გამოითხოვოს იმ მოდულების სერტიფიკატები (დანართით), რომელი მოდულების კრედიტებიც მან სრულად აითვისა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტამდე. კოლეჯი უზრუნველყოფს მოთხოვნილი დოკუმენტების გონივრულ ვადაში გაცემას, დადგენილი წესის შესაბამისად.

12. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება დასაშვებია წინამდებარე ბრძანებით დადგენილი წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არაუმეტეს 5 წლის ვადით.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
ა) პროფესიული სტუდენტის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება, ამ აღკვეთის ღონისძიების გაუქმებამდე;
ბ) ფინანსური დავალიანება;
გ) პირადი განცხადება, მიზეზის მითითებით. მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი;
დ) შუალედურ შეფასებაზე ან საკვალიფიკაციო გამოცდაზე არასაპატიოდ გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;
ე) სამხედრო სამსახურში ან რეზერვში ჩარიცხვა, რაც გამორიცხავს პარალელურ რეჟიმში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;
ვ) ხანგრძლივი ავადმყოფობა;
ზ) სხვა გარემოება, რომლის არსებობის შემთხვევაში მიზანშეწონილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
თ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
4. არასრულწლოვანი ან/და ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანი სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნას კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის მიერ.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით, დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტს და მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ბრძანების გამოცემის დღეს.

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრისა და სტატუსის აღდგენის მოთხოვნის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ პერიოდიდან როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი (თუ ობიექტური გარემოებით სხვა საჭიროება არ იკვეთება).

7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას კოლეჯი ვალდებულია მიაწოდოს პირს/კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაცია სტატუსის შეჩერების ვადის, სტატუსის აღდგენის პროცედურის და აღდგენის მიზნით განცხადების დაწერის ოპტიმალური პერიოდის (სასწავლო გეგმის პერიოდის გათვალისწინებით) თაობაზე.

8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროს, კოლეჯი და პროფესიული სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.

9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, გადახდილი სწავლის საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პროფესიულ სტუდენტს უკან არ უბრუნდება.

10. დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მიზნით, დირექტორის სახელზე წერილობითი განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/ ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანი სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადებას განიხილავს დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესის მენეჯერთან (ქედისა და შუახევის მისამართებზე ასევე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი), პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და შეჯერებულ წინადადებას წარუდგენს დირექტორს.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე გამოიცემა დირექტორის ბრძანება და შესაბამისი მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ბრძანების გამოცემის დღეს.

4. თუ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან სტატუსის აღდგენამდე პერიოდში შეცვლილია პროგრამა/სასწავლო გეგმა, დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავს სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის ისგ-ს შემუშავების საჭიროებას. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ისგ შემუშავდება წინამდებარე წესის მე - 19 მუხლის შესაბამისად.

5. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის კოლეჯი აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია პროფესიული სტუდენტის მობილობით გათვალისწინებული პირობების დაცვით, სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით, მობილობის წესის შესაბამისად.

6. თუ პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს სხვა პროგრამაზე, ფორმალური განათლების აღიარების ფარგლებში, ხორციელდება დადასტურებული სწავლის შედეგების შესაბამისი კრედიტების აღიარება და პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით (კომისიის გადაწყვეტილების შემთხვევაში).

7. სტატუსაღდგენილ პროფესიულ სტუდენტთან (არასრულწლოვანის/ქმედუუნარო/ შეზღუდულ ქმედუნარიანი სსსმ პირის შემთხვევაში მის წარმომადგენელთან/ მხარდამჭერთან) სტატუსის აღდგენის დღეს ფორმდება ახალი სასწავლო ხელშეკრულება.

8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენას ექვემდებარება გარდამავალი/ მომლოდინე სტატუსის მქონე პირი, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

1. პროფესიული სტუდენტის მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:
ა) თუ პროფესიულ სტუდენტს სურს კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება (შიდა მობილობა) ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა (გარე მობილობა);
ბ) თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს გადმოსვლა კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. მობილობის უფლებით სარგებლობა შეუძლია პირს, რომელსაც მობილობის მომენტისთვის აქვს აქტიური პროფესიული სტუდენტის სტატუსი ან შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი № 1) იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
4. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
5. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პროფესიული სტუდენტი (საჭიროების შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენელი) ვალდებულია წარმოადგინოს განცხადება მობილობის შესახებ, აგრეთვე წარადგინოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე რომელზეც სწავლობს პროფესიული სტუდენტი და რომელ პროგრამაზე სურს მობილობა.
6. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვის მიზნით, შესაძლებელია, დირექტორმა შექმნას კომისია. კომისიის მიერ განხილვის შედეგები ეცნობება დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტის მობილობის ან მობილობაზე უარის თქმის შესახებ.
7. პროფესიული სტუდენტის გარე მობილობის მიზნებისთვის, კოლეჯი, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვს ინფორმაციას იმ დაწესებულებიდან სადაც სწავლობს პროფესიული სტუდენტი.
8. კოლეჯი უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.
9. ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე ორი თვით ადრე.
10. სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში მობილობა შესაძლებელია ისეთ პერიოდში, რომელიც ხელს არ შეუშლის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. გადაწყვეტილებას აღნიშნულის თაობაზე იღებს დირექტორის მიერ შესაბამისი ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია.
11. კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:
ა) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
12. კოლეჯში შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ერთი და იმავე პროგრამის ფარგლებში თუ შეიცვალა პროგრამა და მოდიფიცირებულ პროგრამაზე მობილობა აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მდგომარეობას. დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აღნიშნულთან დაკავშირებით იღებს კოლეჯი, კანონმდებლობის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვისა და პროფესიული სტუდენტების თანხმობის შემთხვევაში.

13. შიდა და გარე მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი კომისია, წინამდებარე წესის მე-7 მუხლის შესაბამისად.
14. პროფესიულ სტუდენტთა მობილობის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი, საქართველოს კანონის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.
15. პროფესიული სტუდენტის მობილობით გადაყვანა/გადმოყვანა ფორმდება დირექტორის ბრძანებით და მონაცემები რეესტრის წარმოების სპეციალისტის მიერ შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ბრძანების გამოცემის დღეს.
16. კოლეჯში პროფესიული სტუდენტის გარე მობილობის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება იმავე დღეს ეგზავნება იმ დაწესებულებას საიდანაც გადმოდის პროფესიული სტუდენტი, რათა აღნიშნულმა დაწესებულებამაც განახორციელოს შესაბამისი ქმედებები.
17. პროფესიული სტუდენტის გარე მობილობის დროს კოლეჯის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები და რეესტრის წარმოების სპეციალისტი ვალდებული არიან, პროფესიული სტუდენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, კოორდინირებულად თანამშრომლობდნენ მეორე სასწავლებელთან, რათა ხელი არ შეეშალოს პროფესიული სტუდენტის ნების გამოხატვას.
18. დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის კოლეჯში მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:
ა) არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას კოლეჯის პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;
გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
19. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა ამ მუხლის 21-ე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25 %-ით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
20. პროფესიული სტუდენტები, რომელთა დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაწესებულებამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ან გაუვიდა ავტორიზაციის ვადა ამ წესის მიზნებისათვის მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება ამ წესით დადგენილი პირობები.
21. დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში ამ დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის ისინი, ვისაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში.
22. დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის, ასევე დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის, ისინი, ვისაც ავტორიზაციის ვადის გასვლამდე ან დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის ვადის გასვლიდან/ლიკვიდაციიდან 5 წლის განმავლობაში.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა

განმავითარებელი

შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით

განმსაზღვრელი

ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

სწავლის შედეგი დადასტურდა

სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

კოლეჯი უზრუნველყოფს ვალიდურ, სანდო, ობიექტურ, სამართლიან და გამჭვირვალე შეფასების სისტემის მოქმედებას პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შესაფასებლად

კვალიფიკაციის მინიჭება

1

ბლექსი
კოლეჯი

პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის კრედიტების ათვისება.

2

საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დამტკიცებული ზოგადი წესის მოთხოვნების გათვალისწინებით (მინისტრის ბრძანების გამოცემამდე კოლეჯი უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებას კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად).

ბიეჯსი

კოლეჯი

ჩოდგილოლი საკანმანათლებლო ჩოგსაძების ალჭვრა







სასტუმროს მომსახურება

დუალური

სწავლის ხანგძლივობა - დუალური - 2 სასწავლო წელი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში; Secondary Vocational Qualification in Hotel Service

პროგრამის მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის სასტუმრო საქმის სპეციალისტების მომზადება.

დასაქმების შესაძლებლობები

სასტუმრო საქმის სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს საოჯახო ტიპისა და მცირე ტიპის სასტუმროს მმართველად, ან ნებისმიერი ტიპის სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებაში (რესტორნით და რესტორნის გარეშე) მიღება-განთავსების, ჯავშნებისა და სამეურნეო განყოფილების სპეციალისტად.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- უზრუნველყოს სასტუმროს პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვა;
- უზრუნველყოს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურები;
- უზრუნველყოს დასუფთავების მომსახურება;
- უზრუნველყოს კვებისა და სასმელების მომსახურება;
- უზრუნველყოს გაყიდვებისა და მარტივი მარკეტინგული საქმიანობის წარმართვა;
- უზრუნველყოს სასტუმროს უსაფრთხოება;
- უზრუნველყოს სასტუმროს პრობლემური სიტუაციების მართვა;
- უზრუნველყოს სასტუმროს მარაგებისა და შესყიდვების კონტროლი.

სარესტორნო მომსახურება

დუალური

სწავლის ხანგძლივობა - 2 სასწავლო წელი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში; Secondary Vocational Qualification in Restaurant Service

პროგრამის მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის სარესტორნო მომსახურების სპეციალისტების მომზადება.

დასაქმების შესაძლებლობები

რესტორნის სერვის-მენეჯერს შეუძლია დასაქმდეს რესტორნებში, კაფეებსა და საკვებით მობილური მომსახურების ობიექტებში შემდეგ პოზიციებზე: რესტორნის სერვის მენეჯერები, მიმტანები, სასურსათო კვების მომსახურების პუნქტების მომსახურე პერსონალი.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- გაუწიოს კოორდინაცია რესტორნის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მისი ფუნქციონირების ძირითად პროცესებს
- უხელმძღვანელოს სერვისის გუნდს
- გაუწიოს ორგანიზება ღონისძიებასა და სერვისს
- მოემსახუროს სტუმარს
- გაუწიოს პოპულარიზაცია პროდუქციასა და მომსახურებას
- მართოს ფინანსური და საოპერაციო რესურსები
- დაიცვას მომსახურების სტანდარტები და ეთიკის ნორმები
- მართოს პრობლემური სიტუაციები
- დაიცვას უსაფრთხოების ნორმები

კულინარიის ხელოვნება

იმიტირებული, დუალური, ინტეგრირებული

სწავლის ხანგძლივობა - დუალური - 16 სასწავლო წელი
იმიტირებული - 16 სასწავლო თვე
ინტეგრირებული - 21 სასწავლო თვე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში/Secondary Vocational Qualification in Cooking

პროგრამის მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადოს კვალიფიციური კულინარი, რომელსაც შეუძლია კვების ობიექტის ძირითად პროცესებში მონაწილეობა, ქართული და საერთაშორისო სამზარეულოს კერძების, ცომეულის და დესერტების მომზადება, ნედლეულის დამუშავება, მარაგების მართვა და სამუშაოს შესრულება კვების ჰიგიენის, უსაფრთხოებისა და მომსახურების სტანდარტების დაცვით.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მიიღოს მონაწილეობა კვების ობიექტის ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებასა და მისი ფუნქციონირების ძირითად პროცესებში
- დაამუშაოს ნედლეული და მოამზადოს ნახევარფაბრიკატები
- მოამზადოს ცომეული
- მოამზადოს დესერტები და ქართული ნუგბარი~
- მოამზადოს კულინარული მინი ნაწარმი
- მოამზადოს ქართული ცივი კერძები და საუზმეული~
- მოამზადოს ქართული სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები
- მოამზადოს საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები
- განახორციელოს მენიუსა და კერძების პრეზენტაცია და პოპულარიზაცია
- .განახორციელოს პროდუქტისა და დამხმარე მასალების შეკვეთა და მიღება-განთავსება
- განახორციელოს მარაგების მართვა
- დაიცვას მომსახურების სტანდარტები და ეთიკის ნორმები
- დაიცვას კვების ჰიგიენის, სანიტარიის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ნორმები

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

კოოპერაციული

სწავლის ხანგძლივობა - 22 სასწავლო თვე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში / Higher Vocational Qualification in Occupational Safety and Environmental Technology

პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია, კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს შეიმუშაოს სამუშაოს ნეგატიური ასპექტებისგან დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მექანიზმი, შექმნის პირობებს ჯანსაღი და ღირსეული საქმიანობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოფს შრომის დაცვითი ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერი/ სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს:

სხვადასხვა სფეროების: მშენებლობის, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, ნავთობისა და გაზის, ლოჯისტიკის, ტრანსპორტის, მძიმე მრეწველობის, სამთო მრეწველობის, საზღვაო პორტების, კომუნიკაციების, ტურიზმის, სარესტორნო, გასართობ, სავაჭრო, საგანმანათლებო დაწესებულებებში: უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად; ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორად/მენეჯერად; შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინსპექტორად/ მენეჯერად; დაბინძურების ინსპექტორად; ჯანსაღი სამუშაო გარემოს დაცვის ოფიცრად; შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მრჩეველად; გარემოს დაცვის მრჩეველად; შრომის ჰიგიენის სპეციალისტად/მენეჯერად; ნარჩენების შეგროვების სპეციალისტად; ნარჩენების დამუშავება-მოცილების სპეციალისტად; დაბინძურებისაგან გასუფთავება-ნარჩენების მართვის ინსპექტორად; უსაფრთხოების დაცვის სპეციალისტად/ მენეჯერად; შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სახელმწიფოს შრომის ინსპექტირების სამსახურებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეადგინოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოსდაცვითი გეგმა
- შეიმუშაოს და განაახლოს პროცედურები და ინსტრუქციები
- შეაფასოს პროფესიული დაზიანებები და აკონტროლოს რისკი
- შეაფასოს, გააკონტროლოს და განსაზღვროს ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების პრევენციული ზომები
- დაიცვას ელექტროუსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების წესები
- განახორციელოს ევაკუაციის პროცესები
- გაწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება
- გაატაროს საფრთხეების პრევენციისა და რისკების შემცირების ღონისძიებები
- აკონტროლოს სამუშაო ადგილზე ადამიანთა და სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოდ გადაადგილება
- შეაფასოს გარემოზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების გავლენა
- განახორციელოს გარემოსდაცვითი სისტემის აუდიტი და მონიტორინგი
- დაგეგმოს უსაფრთხო სასმელი წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაცვით მოქმედება
- აკონტროლოს წყლის წყაროების დაბინძურება
- აკონტროლოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ჰაერში გაფრქვევის შემცირება.

კომპიუტერული ქსელი და სისტემები

იმიტირებული

სწავლის ხანგძლივობა - 16 სასწავლო თვე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში; Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems;

პროგრამის მიზანი - კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

კომპიუტერული ქსელისა და სისტემების სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის მქონე ან/და ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისებით მოსარგებლე ნებისმიერ მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციაში, ასევე სატელეკომუნიკაციო პროფილის მქონე ორგანიზაციებში, ფილიალების/ობიექტების მქონე ქსელურ ორგანიზაციებში, მონაცემთა მართვის სააგენტოებში და სხვა ნებისმიერ, დიდი ზომის ორგანიზაციაში ქსელისა და სისტემების უმცროს (Junior) ადმინისტრატორად.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- უზრუნველყოს პერსონალური კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული და პროგრამული მხარდაჭერა;
- იმუშაოს მობილურ და ლინუქს ოპერაციულ სისტემებთან;
- დაამონტაჟოს და გამართოს მცირე და საშუალო ზომის კომპიუტერული ქსელი;
- დაამონტაჟოს და გამართოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები;
- გამართოს ბაზისურად კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგია;
- უზრუნველყოს კომპიუტერულ ქსელებში ბაზისური კომუტაცია და მარშუტიზაცია;
- გამართოს ბაზისურად VOIP ტელეფონია;
- გამართოს ბაზისურად Windows სერვერული ოპერაციული სისტემის და ქსელური სერვისები;
- გამართოს ბაზისურად Linux სერვერული ოპერაციული სისტემა;
- გამართოს ბაზისურად სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგია;
- გამოიყენოს Cloud პლატფორმები;
- უზრუნველყოს კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა.

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა

იმიტირებული

სწავლის ხანგძლივობა - 10 სასწავლო თვე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support

პროგრამის მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი პროფილის და ზომის ორგანიზაციაში. კურსდამთავრებულს აქვს თვითდასაქმების შესაძლებლობა.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. უზრუნველყოს კომპიუტერის აპარატურული მხარდაჭერა (Hardware);
2. უზრუნველყოს კომპიუტერის პროგრამული მხარდაჭერა (Software);
3. იმუშაოს მობილურ, Linux და Windows Server ოპერაციულ სისტემებთან;
4. გამართოს პერიფერიული მოწყობილობები;
5. დაამონტაჟოს და გამართოს მცირე ზომის კომპიუტერული ქსელი;
6. დაამონტაჟოს და გამართოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები;
7. უზრუნველყოს კომპიუტერულ სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიცირება / აღმოფხვრა;
8. უზრუნველყოს კომპიუტერული სისტემების მხარდაჭერა სამუშაო ადგილზე და დისტანციურ რეჟიმში.

კონდიტერია

კოოპერაციული, ინტეგრირებული

სწავლის ხანგძლივობა - კოოპერაციული - 16 სასწავლო თვე
ინტეგრირებული - 21 სასწავლო თვე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში/Secondary Vocational Qualification in Confectionery

პროგრამის მიზანი - მოამზადოს კონკურენტუნარიანი კონდიტერი, რომელიც ფლობს საკონდიტრო ნაწარმის წარმოების, პრეზენტაციისა და მართვის უნარებს და შეუძლია მუშაობა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე, პროფესიული, ჰიგიენური და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

კონდიტერს შეუძლია დასაქმდეს საკონდიტრო საამქროებში, საცხობებში, სუპერმარკეტებში, სხვადასხვა კლასის რესტორნებში, კაფეებში, სასტუმროებში, საკურორტო, გასართობ, ტურისტულ კომპლექსებში შემდეგ პოზიციებზე: მცხობელები, კონდიტერები და შოკოლადის ნაწარმის მომზადების სპეციალისტები.

კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ბიზნესის წარმოება — თვითდასაქმება, რაც მოიცავს მცირე საკონდიტრო საწარმოს ან საოჯახო ბიზნესის დაგეგმვასა და მართვას, პროდუქციის ასორტიმენტის შემუშავებას, ნედლეულისა და დამხმარე მასალების შესყიდვას, წარმოების პროცესის ორგანიზებას, ხარჯების გათვლასა და ფასების ფორმირებას, პროდუქციის რეალიზაციასა და მომხმარებელთან ურთიერთობას, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების, კვების ჰიგიენისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვით.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მიიღოს მონაწილეობა საკონდიტრო საამქროს ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებაში და მისი ფუნქციონირების ძირითად პროცესებში
- დაამუშაოს ნედლეული და მოამზადოს ნახევარფაბრიკატები
- მოამზადოს პურ-ფუნთუშეული
- მოამზადოს ცივი და ცხელი დესერტები, ასევე ქართული ნუგბარი
- მოამზადოს ბისკვიტის ცომით ნამცხვრები და ტორტები
- მოამზადოს კექსები
- მოამზადოს ნამცხვრები მოხარშული ცომით
- მოამზადოს ფხვიერი და ნახევრად ფხვიერი საკონდიტრო ნაწარმი
- მოამზადოს საფურშეტე საკონდიტრო ნაწარმი
- შეასრულოს მარციპანისა და შაქრის ცომის სამუშაოები
- შეასრულოს შოკოლადისა და კარამელის სამუშაოები
- განახორციელოს საკონდიტრო ნაწარმის პრეზენტაცია და პოპულარიზაცია
- განახორციელოს პროდუქტისა და დამხმარე მასალების შეკვეთა და მიღება-განთავსება
- განახორციელოს მარაგების მართვა
- დაიცვას მომსახურების სტანდარტები და ეთიკის ნორმები
- დაიცვას კვების ჰიგიენის, სანიტარიის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ნორმები

ელექტროობა

იმიტირებული

სწავლის ხანგძლივობა - 13 თვე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში/Basic Vocational Qualification in Electricity

პროგრამის მიზანი - პროგრამის მზანია უზრუნველყოს, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის - ელექტრიკოსის მომზადება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
ელექტროკოსი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტროდანადგარების მომსახურედ: მემონტაჟე ელექტრიკოსად, შენობის ელექტრიკოსად, გამანაწილებელი ქსელის ელექტრიკოსად, ელექტრო-მექანიკოსად, ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების ელექტრიკოსად, ელექტროენერგიის გამომმუშავებელი სადგურების ელექტრიკოსად.

დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს:

- უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვა
- აღწეროს ელექტრული წრედების ელემენტები და საზომი ხელსაწყოები
- უზრუნველყოს ელექტროობის სისტემის ნახაზის შესრულება CAD-ის გამოყენებით
- აღწეროს ელექტრული მანქანები
- აღწეროს ელექტრული ტექნოლოგია
- უზრუნველყოს მუდმივი და ცვლადი დენების ანგარიში და წრედებში დანაკარგები
- გამოიყენოს მათემატიკა ელექტროობაში
- განახორციელოს ელექტროსამონტაჟო სამუშაოები
- უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა

შედუღება

კოოპერაციული

სწავლის ხანგძლივობა - 17 სასწავლო თვე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Secondary Vocational Qualification in Welding

პროგრამის მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური შემდუღებლები, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანნი როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
შემდუღებელი შეიძლება დასაქმდეს სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ობიექტებზე, მანქანათმშენებლობის საწარმოებში, მილსადენების მშენებლობაზე, გემთმშენებლობაზე, ლითონის კონსტრუქციების მწარმოებელ ქარხნებში და სხვა. ასევე მას შეუძლია ზედამხედველობა გაუწიოს საშემდუღებლო სამუშაოების შემსრულებელ მცირე სამუშაო ჯგუფებს.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- დაიცვას გარემო და შრომის უსაფრთხოება
- შეასრულოს სამუშაო შედგენილი ნახაზით
- შეასრულოს ხელით ელექტრორკალური შედუღება
- შეასრულოს ნახევრადავტომატური ელექტრორკალური შედუღება აქტიურ (MAG) და ინერტულ (MIG) აირებში
- შეასრულოს არგონში ვოლფრამის უდნობი ელექტროდით შედუღება
- შეასრულოს ნახშირბადიანი საკონსტრუქციო ფოლადების შედუღება
- შეადუღოს ლეგირებული ფოლადები
- შეადუღოს ფერადი ლითონები
- შეადუღოს პლასტმასები
- შეადუღოს კონსტრუქციები
- დაამუშაოს ლითონები თერმულად
- გაარჩიოს შედუღების მასალები და მათი მახასიათებლები
- მოამზადოს მასალები შედუღების პროცესისთვის
- გამოიყენოს შედუღების ტექნოლოგია
- უზრუნველყოს ხარისხი შენადუღ შეერთებაში

მოდის ტექნოლოგია და დიზაინი

კოოპერაციული

სწავლის ხანგძლივობა - 18 სასწავლო თვე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში; Secondary Vocational Qualification in Fashion technology and design

პროგრამის მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრი - მოდის ტექნოლოგ - დიზაინერი,, რომელიც მის მიერ შექმნილი ესკიზისა და კონსტრუქციული ნახაზის საფუძველზე დამოუკიდებლად გამოჭრის და შეკერავს სამკერვალო ნაწარმს.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
მოდის ტექნოლოგ-დიზაინერი შეიძლება დასაქმდეს: მოდის დიზაინის კომპანიებში, დიდი, საშუალო და მცირე სიმძლავრის სამკერვალო საწარმოებში ან/და იყოს თვითდასაქმებული (ინდივიდუალური კერვა; ინდივიდუალური მეწარმეობა; კერძო/მცირე ბიზნესი).

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო ადგილის ორგანიზება და გაეცნოს მოდელს;
- შექმნას ესკიზი;
- შეარჩიოს სამკერვალო ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალები;
- ტექნოლოგიურად დაამუშაოს სამკერვალო ნაწარმის დეტალები;
- გამოიყენოს სამკერვალო ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო მანქანები და თბურ-დანამვითი დამუშავების მოწყობილობები;
- ააგოს სამკერვალო ნაწარმის კონსტრუქციული ნახაზი;
- გამოჭრას და შეკეროს სამკერვალო ნაწარმი;
- გადააკეთოს ტანსაცმელი და აღადგინოს დაზიანებული უბნები;
- უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება.

1. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად პირს ენიჭება შესაბამისად ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/ მე4 /მე-5 დონის კვალიფიკაცია, რაც დასტურდება შესაბამისი დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემით;

2. დიპლომი, რომელიც გაცემულია იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან;

3. პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება სერტიფიკატითა და დანართით;

4. სსსმ სტატუსის მქონე პირი, რომელმაც ვერ აითვისა პროგრამით გათვალისწინებული მოდულების კრედიტები, ითვლება კურსდამთავრებულად და მასზე გაიცემა ცნობა, პროგრამის გავლის შესახებ, მოთხოვნის შემთხვევაში, მიღწეული სწავლის შედეგების მითითებით;

5. პირი, რომელმაც აითვისა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების კრედიტები და ვერ ჩააბარა საკვალიფიკაციო გამოცდა ან არ გამოცხადდა საკვალიფიკაციო გამოცდაზე, ითვლება კურსდამთავრებულად კვალიფიკაციის გარეშე და ეძლევა ორი წლის პერიოდში განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლება;

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, მოთხოვნის შემთხვევაში, დასტურდება სერტიფიკატითა და დანართით;

7. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად დაუდასტურებლობის შემთხვევაში კოლეჯი, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცემს ცნობას აღნიშნული მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ;

8. ტრენინგ - კურსის (მოკლევადიანი პროგრამის) კურსდამთავრებულზე გაიცემა შიდა სერტიფიკატი, რომლის ნიმუში მტკიცდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით;

9. განათლების დამადასტურებელ დოკუმენტების (დიპლომი (დანართით); სერტიფიკატი (დანართით); არაფორმალური განათლების სერტიფიკატი) გაცემაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს რეესტრის წარმოების სპეციალისტი.

უსაფრთხოების წესები

კოლეჯის ტერიტორიაზე უსაფრთხოების წესების დაცვა აუცილებელია როგორც საკუთარი, ისე სხვების უსაფრთხოებისთვის!

- კოლეჯში სასწავლო პროცესის განხორციელებისას დაცულია, უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემო, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- კოლეჯის ტერიტორიაზე გადაადგილებისას დაიცავით წესრიგი, მოერიდეთ სირბილსა და ხმაურს;
- დაიცავით სისუფთავე — არ დაყაროთ ნაგავი იატაკზე;
- არ შეეხოთ უცნობ მოწყობილობებს ან ნივთებს ნებართვის გარეშე;
- დაიცავით კოლეჯის შინაგანაწესი;
- იცოდეთ სად მდებარეობს საევაკუაციო გასასვლელები;
- ხანძრის შემთხვევაში შეინარჩუნეთ სიმშვიდე და მიჰყევით ევაკუაციის გეგმას;
- ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, კოლეჯის ყველა თანამშრომელი და პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დატოვოს შენობა და ეზოში მივიდეს სპეციალურად მონიშნულ უსაფრთხო ტერიტორიაზე;
- არ შეეხოთ დაზიანებულ სადენებს ან ელექტრო მოწყობილობებს;
- გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (ხელთათმანები, სათვალე და სხვ.).
- იმუშავეთ ინსტრუქტორის ზედამხედველობით;
- გაუფრთხილდით ტექნიკას;
- დაიცავით პირადი ჰიგიენა და სისუფთავე;
- დაწესებულების ტერიტორიაზე არ გამოიყენოთ ალკოჰოლი ან სხვა მავნე ნივთიერებები;
- კოლეჯის შიდა ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა აკრძალულია. მოწევა დასაშვებია მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ, ნიშნულ ადგილებში;
- იცოდე საგანგებო სიტუაციების მართვის ცხელი ხაზი **(112)**;
- ნებისმიერი გაუმართაობის შემთხვევაში მიმართეთ მასწავლებელს ან ადმინისტრაციას;
- უსაფრთხოების მიზნით, კოლეჯის შენობაში, დერეფნებსა და გარე სივრცეებში მიმდინარეობს 24-საათიანი ვიდეომონიტორინგი

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი



პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით:

ა) შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე ეროვნული უმცირესობის ენაზე (რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე). დაწესებულება ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

ა.ა) სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ა.ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის“ შესაბამისად, ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით;

ა.გ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

ბ) დაწესებულება უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამით (რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/ მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით."

კოლეჯის ყველა პროფესიულ სტუდენტს, მსმენელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა თუ ადმინისტრაციულ პერსონალს უფლება აქვთ გახდნენ კოლეჯის ბიბლიოთეკის მკითხველები.

ბიბლიოთეკის მკითხველებს უფლება აქვთ:

ა) უფასოდ ისარგებლონ ბიბლიოთეკის მომსახურებით. მათ შორის, ელექტრონულ მატარებელზე არსებული რესურსით;

ბ) ჰქონდეთ თავისუფალი დაშვება ბიბლიოთეკაში არსებულ კატალოგებთან, თავიანთი სურვილით დამოუკიდებლად აირჩიონ მათთვის სასურველი წიგნი ან/და ელექტრონულ მატარებელზე არსებული რესურსები;

გ) კოლეჯის ოფიციალური ვებ-გვერდიდან - **blacksea.edu.ge** მიიღოს ინფორმაცია კოლეჯში არსებული საგანმანათლებლო რესურსის (მათ შორის, ელექტრონულ მატარებელზე არსებული რესურსების) შესახებ (Openbiblio).

მკითხველი ვალდებულია:

ა) გაუფრთხილდეს კოლეჯის ბიბლიოთეკიდან გატანილ წიგნებს და ყველა იმ რესურსს რაც მან კოლეჯის ბიბლიოთეკის ფარგლებში მოიპოვა;

ბ) მკითხველის ბარათში მითითებულ ვადებში დააბრუნოს კოლეჯის ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნი;

პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს გამარჯვებულები

ზებურ ბოლქვაძე

პროფესიული განათლების სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამა - მეფუტკრეობა

ხათუნა აბულაძე

2023 წლის საუკეთესო ინსტრუქტორი - Hilton Batumi შეფ მზარეული, კოლეჯ “ბლექსის” კულინარიის ხელოვნების პროგრამის ინსტრუქტორი

ვლადა ხიმენკო

წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი საგანმანათლებლო პროგრამა - IT

ოთარ ხაჯიშვილი

სპეციალური ჯილდო პროფესიულ განათლებაში შეტანილი წვლილისთვის - პროფესიული განათლების მასწავლებელი

WorldSkills Georgia 2023 სამი საპრიზო ადგილი

კულინარიის ხელოვნება
III ადგილი
ლუკა აბაშიძე

კონდიტერია
I ადგილი
თამთა დევაძე

კულინარიის ხელოვნება
II ადგილი
ლაშა წოწონავა

WorldSkills Georgia 2025 ორი საპრიზო ადგილი

მოდის ტექნოლოგია
და დიზაინი
II ადგილი
ანუკი მახარაძე

კონდიტერია
III ადგილი
გიორგი არაკელიანი

ბლექსი

კოლეჯი

კოლეჯ „ბლექსის“ ახალი სასწავლო კორპუსი 560 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სამსართულიანი შენობა

ტერმინთა განმარტებები

ადმინისტრაციული აქტი – კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ოფიციალური გადაწყვეტილება (ბრძანება), რომელიც არეგულირებს კონკრეტულ საკითხს.

ადაპტაცია – პროფესიული სტუდენტის შეგუება სასწავლო გარემოსთან და პროცესთან.

ავტორიზაცია – სახელმწიფოს მიერ კოლეჯისთვის მინიჭებული უფლება, განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა.

ბიბლიოთეკის რესურსი – სასწავლო ლიტერატურა და სხვა მასალა, რომელიც სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს სწავლების მიზნით.

გარე მობილობა – პროფესიული სტუდენტის გადასვლა ერთი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვაში.

დასაქმების ფორუმი – ღონისძიება, სადაც სტუდენტები ხვდებიან დამსაქმებლებს და ეცნობიან ვაკანსიებს.

დუალური პროგრამა – პროფესიული პროგრამა, რომელიც აერთიანებს სწავლას კოლეჯში და პრაქტიკას რეალურ საწარმოში.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო – სისტემა, რომელიც განსაზღვრავს განათლების დონეებსა და კვალიფიკაციებს.

ექსტრაკურიკულური აქტივობები – დამატებითი, არაფორმალური აქტივობები, რომლებიც ტარდება სასწავლო პროგრამის მიღმა.

ვალიდური შეფასება – შეფასება, რომელიც ზუსტად ასახავს სტუდენტის ცოდნასა და უნარებს.

ზღვრული რაოდენობა – პროგრამაზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) – კონკრეტული სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმა.

ინკლუზიური განათლება – განათლება, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა პირისთვის, მათ შორის სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის.

ტერმინთა განმარტებები

კარიერული ორიენტაცია – სტუდენტისთვის პროფესიული გზის დაგეგმვასა და დასაქმებაში მხარდაჭერა.

კოოპერაციული პროგრამა – პროგრამა, რომელიც ხორციელდება კოლეჯისა და დამსაქმებლის თანამშრომლობით.

კრედიტი – სწავლის შედეგის მოცულობის საზომი ერთეული.

მობილობა – პროფესიული სტუდენტის გადასვლა ერთი პროგრამიდან ან დაწესებულებიდან მეორეზე.

მსმენელი – პირი, რომელიც მონაწილეობს მომზადების/გადამზადების პროგრამაში.

პრაქტიკული მოსინჯვა – სსსმ/შშმ აპლიკანტის უნარების შემოწმება პროგრამაზე ჩარიცხვამდე.

სასწავლო შედეგი – ცოდნა და უნარები, რომლებიც სტუდენტმა უნდა მიიღოს მოდულის დასრულებისას.

სტატუსის აღდგენა – შეჩერებული სტუდენტის სტატუსის ხელახლა გააქტიურება.

სტატუსის შეჩერება – სტუდენტის სტატუსის დროებითი შეწყვეტა.

სტატუსის შეწყვეტა – პროფესიული სტუდენტის სტატუსის საბოლოო გაუქმება.

სსსმ (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი) – პირი, რომელსაც სწავლის პროცესში დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება.

შშმ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი) – პირი ფიზიკური, ფსიქიკური ან სხვა ტიპის შეზღუდვით.

შიდა მობილობა – კოლეჯის შიგნით ერთი პროგრამიდან მეორეზე გადასვლა.

შეფასების სისტემა – სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასების წესები.

ტრენინგ-კურსი – მოკლევადიანი სასწავლო პროგრამა.

ზღვაჯსი

კოლეჯი

ბიოლოგიური განათლება სახელმწიფოს დაფინანსებით!



კოლეჯი

ბლექსი

სასარგებლო ბმულები

- კოლეჯი „ბლექსი“
- მარეგულირებელი ნორმები
- სტრუქტურა
- კატალოგი აბიტურიენტებისთვის
- სამოქმედო გეგმა
- პროფესიული მასწავლებლები
- ხარისხის უზრუნველყოფა
- სტრატეგიული განვითრების გეგმა
- დიპლომის ნიმუში
- CV-ის ნიმუში
- სერტიფიკატის ნიმუში
- კონტაქტი
- cisco-ს ქსელური აკადემია
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
- პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები
- ჩემი პროფესია
- წარმატებული კურსდამთავრებულები
- პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა
- პარტნიორები
- ქედის მისამართი
- შუახევის მისამართი
- ფეისბუქ გვერდი